ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2024 წლის 4 მარტის სხდომის ოქმი # 4

სხდომას ფაკულტეტის საბჭოს 33 წევრიდან ესწრებოდა 18 წევრი

დღის წესრიგი:

1. პროფესორთა ატესტაციის საკითხი
2. სადოქტორო თემის სათაურის და ხელმძღვანელის დამტკიცება
3. სამაგისტრო პროგრამის „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები" დამტკიცება.
4. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესის დამტკიცება
5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია პროფესორთა ატესტაციის თაობაზე. ატესტაციის წესის პროექტი ფაკულტეტის დეკანმა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს გაუგზავნა ელფოსტის მეშვეობით. შესაბამისად, ყველა პროფესორს ჰქონდა მისი გაცნობის და შენიშვნების გამოხატვის საშუალება. როგორც ს. დუნდუამ აღნიშნა, აკადემიური პერსონალის მხრიდან მიღებულია ერთი კომენტარი კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სთხოვა, კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები პროფესორთა ატესტაციის წესის პროექტთან მიმართებით.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებული პროფესორის, კ. შუბითიძის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა კომისიის შემადგენლობას ერთპიროვნულად, მხოლოდ დეკანი კი არ ამტკიცებდეს, არამედ ფაკულტეტის საბჭო.

ასევე, აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: გ. გოგსაძემ, მ.შამილიშვილმა.

დაადგინეს: პროფესორის ატესტაციის წესის პროექტი განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე. გამოთქმულია ერთი შენიშვნა, რომელიც მიეწოდება შესაბამის სტრუქტურებს. კერძოდ: ***კომისიის შერჩევა/წარდგენა ერთპიროვნულად, მხოლოდ დეკანის გადაწყვეტილებით არ მოხდეს. კომისიის შერჩევა/წარდგენას ახორციელებდეს ფაკულტეტის საბჭო.***

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებელია კონფლიქტოლოგიის სადოქტორო

პროგრამის დოქტორანტის, მარეხ დევიძის თემის სათაური: „ორგანიზაციული კონფლიქტების პრევენცია ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის პიროვნებებთან" (ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ ჯორბენაძე)

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა კ. შუბითიძემ, მ. წერეთელმა

დაადგინეს: კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარეხ დევიძის სადისერტაციო თემის სათაურად დამტკიცდეს: **„ორგანიზაციული კონფლიქტების პრევენცია ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის პიროვნებებთან"** (ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ ჯორბენაძე)

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ აკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, დასამტკიცებელი იყო სამაგისტრო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები" (National Security, Demographic Policy and migrations), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი (MSc in Social Sciences). თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ მოცემული პროგრამა არის ფაკულტეტზე ამჟამად მოქმედი სამაგისტრო პროგრამის: **დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია** (მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში)** **სამართალმემკვიდრე.**

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ალ. კუხიანიძემ და ასოცირებულმა პროფესორმა კ. შუბითიძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები" (National Security, Demographic Policy and migrations), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი (MSc in Social Sciences) და გადაეცეს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ ავტორიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროო იყო გარკვეული დაზუსტებების გაკეთება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესში. თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესის პროექტი მასში შეტანილი დაზზუსტებებით საბჭოს წევრებს გადაგზავნილი ჰქონდათ გასაცნობად.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. წერეთელმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესი (დანართი 1)

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია უნივესრიტეტში სახელმზღვანელოების კონკურსისა და ამ კონკურსის შემფასებელი კომისიის დაკომპლექტების შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტში იგეგმება სახელმძღვანელოების კონკურსის გამოცხადება, სადაც გამარჯვებული ავტორების სახელმძღვანელოები დაიბეჭდება კიდეც. მოცემული კონკურსის კომისია კომპლექტდება ფაკულტეტების აკადემიური პერსონალიდან, კონკრეტულად კი 2 პირისგან. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ამ მიზნით, მიმდინარე წელს ფაკულტეტიდან კომისიაში წარდგენილი წევრები იქნებიან პროფესორები: გიორგი გოგსაძე და ალექსანდრე კუხიანიძე.

საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე — სალომე დუნდუა
ასოცირებული პროფესორი

4 [illegible]

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

დანართი 1

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის
წესი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას უძღვება ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს სტუდენტი. ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს, როგორც შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორიც.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევას, კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის დასაცავად წარდგენის პროცესს.

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა

- დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, სტუდენტი სასწავლო ბარათში (www.uni.tsu.ge) რეგისტრირდება საგანზე „საბაკალავრო ნაშრომი“ (შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის მითითებით);
- სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში, სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების სავარაუდო სათაურებსა და ხელმძღვანელების კანდიდატურებს, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს გადასცემს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ვებგვერდზე ასატვირთად.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
2. ანოტაცია (ქართულ ენაზე)
3. სარჩევი (შინაარსი)
4. შესავალი
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი
6. დასკვნა
7. გამოყენებული ლიტერატურის სია

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი): (ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით)

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისა და პროგრამის დასახელება (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბაკალავრო პროგრამის დასახელება) (შრიფტის ზომა: 14);
- სტუდენტის სახელი და გვარი მიეთითება 2-3 სმ-ის დაშორებით (შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა: 16);
- ნაშრომის დასახელების ქვევით იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14); (მაგ.: ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12);
- ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი მიეთითება სულ ქვევით, ფურცლის შუა ნაწილში (მაგ: თბილისი, 2024 წელი) (შრიფტის ზომა: 12)

სარჩევი (შინაარსი)
მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

ანოტაცია
აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 100-150 სიტყვა, ანოტაცია იწერება ქართულ ენაზე. ჯგუფური ნაშრომის ან შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას, ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შესავალი:
ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, ნაშრომის მიზნები და მოცანები, საკვლევი საგანი, გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მიდგომები, მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის არსებობის შენთხვევაში).

ტექსტის ძირითადი ნაწილი:
ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. ტექსტში უნდა ჩანდეს საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული და ემპირიული კვლევის ეტაპები და შედეგები.

დასკვნა: ასახავს ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული შედეგების ინტერპრეტაციას. ძირითადი დასკვნები, მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

საბაკალავრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები (ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის):

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე - უნიკოდი (Sylfaen - სილფაენი);
- შრიფტის ზომა - 12;
- თავები ინომრება თანმიმდევრულად;
- პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები;
- თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14;
- სქოლიოს შრიფტის ზომა - 10;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
- ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან 2.5 სმ, ქვემოდან 2.5 სმ.;
- ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 25- 35 გვერდისა, დანართების და მითითებული ლიტერატურის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

- გამოყენებული ლიტერატურა ნაშრომში გამოიყენება APA სტილით (იხ. ბმული http://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books_);
- დაცული უნდა იყოს ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა:

საბაკალავრო ნაშრომების შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო დაცვის ფორმით, ისე საჯარო დაცვის გარეშე. კომისიის შემადგენლობა (არანაკლები 3 წევრისაგან) მტკიცდება დეკანის ბრძანებით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/დაცვის გარეშე შეფასების გრაფიკს საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

დაცვა/შეფასება ყველა საბაკალავრო პროგრამისათვის ჩატარდება 6 (ექვსი) სამუშაო დღის განმავლობაში სემესტრული გამოცდების პერიოდში.

საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით, ნაშრომის დაცვამდე სტუდენტი, დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე რომელიც დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალთან e-learning.tsu.ge.

ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს BA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: BA Thesis.Kapanadze);

ნაშრომის ატვირთვის ინსტრუქცია, ატვირთვის თარიღის მითითებით, გამოქვეყნდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დაცვამდე/შემოწმებამდე არა უგვიანეს 30 სამუშაო დღით ადრე. ნაშრომის ატვირთვის ვადების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ვერ ატვირთავს ნაშრომს და დაცვაზე არ დაიშვება. ამავე ინსტრუქციაში მოცემული
იქნება პლაგიატის განმარტება და მასზე რეაგირების
მექანიზი.

საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დასრულების შემდგომ, მაგრამ დაცვამდე არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, შემოწმებული ნაშრომი, რომელშიც არ არის აღმოჩენილი პლაგიატი, გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ეს უკანასკნელი უგზავნის ნაშრომს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს და კომისიის წევრებს დაცვამდე 4 (ოთხი) სამუშაო დღით ადრე.

ამავე ვადებში საბაკალავრო ნაშრომის ბეჭდურ ვარიანტს სტუდენტი წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში. ნაშრომის ბეჭდური ვერსია უნდა ემთხვეოდეს პლაგიატზე შემოწმებულს. ვერსიების აცდენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება და აიღებს დამატებით სემესტრს. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით აკინძული ან ყდაში ჩასმული).

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

დაცვიდან 1 (ერთ) სამუშაო დღეში, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ოქმი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, სტუდენტის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად. სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები ინახება ფაკულტეტზე თსუ-ში დადგენილი წესის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები ქვემოთჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის:

1. პოლიტიკის მეცნიერება
2. ჟურნალისტიკა
3. ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია (რუსული კომპონენტებით)
4. სოციალური მუშაობა
5. სოციოლოგია

ამ საბაკალავრო პროგრამებზე, საბაკალავრო ნაშრომს აფასებს: *ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია.*

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის) - მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა.

- **ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა**
- **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა**
- **ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - 40 ქულა**

ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა.

შეფასების კრიტერიუმები:

ხელმძღვანელის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 20, მინიმალური ქულა - 10.

ა) შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;

ბ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:

- ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;
- გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ.

რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური ქულა - 20.

ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;

ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:

- პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი

გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:

- ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;
- დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ.

ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21. ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს.

ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;
- კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი

ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა;

გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა;

დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:

- საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე
- ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

ამ საბაკალავრო პროგრამაზე, საბაკალავრო ნაშრომს აფასებს *ნაშრომის რეცენზენტი და კომისია. საბოლოო შეფასება (რეცენზენტისა და კომისიის) - მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა.*

- **რეცენზენტის შეფასება - 60 ქულა**
- **ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - 40 ქულა**

ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა.

შეფასების კრიტერიუმები:

რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 60, მინიმალური ქულა - 30.

ა) შინაარსობრივი მხარე - 40 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;

ბ) ფორმალური მხარე - 20 ქულა:

- ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;
- გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ.

ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21. ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს.

ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;
- კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი

ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა;
გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა;
დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:

- საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე
- ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები „საერთაშორისო

ურთიერთობების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დაცვის წესში, არაა გათვალისწინებული ნაშრომის ხელმძღვანელის სტატუსი. ამდენად, ამ პროგრამაზე საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 2 წევრი, წინასწარშემფასებელი და რეცენზენტი.

- **წინასწარშემფასებელი - 60 ქულა**
- **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა**

ნაშრომის საბოლოო შეფასება (წინასწარშემფასებელისა და რეცენზენტის) - მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა.

რეცენზენტისთვის ნაშრომის შესაფასებლად გადაცემის წინაპირობა: სტუდენტს წინასწარსემფასებლის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა.

შეფასების კრიტერიუმები:

წინასწარშემფასებელი - მაქსიმალური ქულა – 60, მინიმალური ქულა - 30

ა) შინაარსობრივი მხარე - 40 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;

ბ) ფორმალური მხარე - 20 ქულა:

- ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;
- გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ.

რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური ქულა - 21

ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;

ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:

- პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი

გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:

- ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა;
- დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო ნაშრომის დასახელება

ნაშრომი შესრულებულია _____ ბაკალავრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი

აკადემიური
თანამდებობა

თბილისი
202_